



2024

შპს „სქაიტელი“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს „სქაიტელი“

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

3

ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

5

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

6

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

7

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

8

1.	კომპანია და მისი საქმიანობა.....	9
2.	მომზადების საფუძვლები.....	10
3.	არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა	11
4.	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	21
4.	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები (გაგრძელება).....	22
5.	შემოსავალი პროდუქციის და მომსახურების რეალიზაციიდან.....	22
6.	ხელფასის ხარჯი.....	23
7.	მიწოდების სხვა ხარჯები	23
8.	ტექნიკური მომსახურების ხარჯი	23
9.	სხვა საოპერაციო ხარჯი	24
10.	კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება, წმინდა	24
11.	სხვა არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი	24
12.	ძირითადი საშუალებები	25
13.	საინვესტიციო ქონება	26
14.	აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები	26
15.	მარაგები	28
16.	მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	28
17.	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	28
18.	ფული და ფულის ეკვივალენტები	29
19.	საწესდებო კაპიტალი.....	29
20.	მიღებული სესხები.....	30
21.	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31
22.	მოგების გადასახადი	32
23.	პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები	32
24.	ფინანსური რისკების მართვა.....	33
25.	ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	36
26.	საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები.....	37

მმართველობის ანგარიშგება: 39

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სქაიტელის“ მფლობელებსა და ხელმძღვანელებს:

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „სქაიტელის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „*აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია - კომპანიის მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის განცხადება. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს ამგვარად არ მოქცევის რეალური არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები ზედამხედველობენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და აუდიტის პროცესში პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვედნილია 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

პაატა შარაბიძე, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-307233)
შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

12 აგვისტო, 2025

თბილისი, საქართველო

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვედნილია 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

პაატა შარაბიძე, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-307233)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

12 აგვისტო, 2025

თბილისი, საქართველო



შპს „სქაიტელი“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი პროდუქციის და მომსახურების რეალიზაციიდან	5	28,083,622	25,977,227
საოპერაციო ხარჯები			
ხელფასის ხარჯი	6	(8,592,110)	(6,276,657)
ცვტა და ამორტიზაცია	12,14	(3,694,947)	(3,032,654)
მიწოდების და სხვა ხარჯები	7	(1,791,997)	(1,858,434)
ტექნიკური მომსახურების ხარჯი	8	(937,724)	(785,372)
იჯარის ხარჯი	14	(2,971,296)	(2,249,759)
საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის აღდგენა/ხარჯი	17	(35,003)	(22,419)
სხვა საოპერაციო ხარჯები	9	(2,328,370)	(1,617,473)
საოპერაციო მოგება		7,732,175	10,134,459
საპროცენტო ხარჯი	14,15	(1,526,892)	(1,359,719)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება, წმინდა	10	(58,744)	334,504
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	11	683,690	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	11	(629,643)	(486,534)
წლის წმინდა მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		6,200,586	8,622,710
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა მოგება/(ზარალი)		6,200,586	8,622,710
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		6,200,586	8,622,710

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 12 აგვისტო:

გენერალური დირექტორი

ფინანსური დირექტორი

9-37 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „სქაიტელი“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი პროდუქციის და მომსახურების რეალიზაციიდან	5	28,083,622	25,977,227
საოპერაციო ხარჯები			
ხელფასის ხარჯი	6	(8,592,110)	(6,276,657)
ცვეთა და ამორტიზაცია	12,14	(3,694,947)	(3,032,654)
მიწოდების და სხვა ხარჯები	7	(1,791,997)	(1,858,434)
ტექნიკური მომსახურების ხარჯი	8	(937,724)	(785,372)
იჯარის ხარჯი	14	(2,971,296)	(2,249,759)
საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის აღდგენა/ხარჯი	17	(35,003)	(22,419)
სხვა საოპერაციო ხარჯები	9	(2,328,370)	(1,617,473)
საოპერაციო მოგება		7,732,175	10,134,459
საპროცენტო ხარჯი	14,15	(1,526,892)	(1,359,719)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება, წმინდა	10	(58,744)	334,504
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	11	683,690	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	11	(629,643)	(486,534)
წლის წმინდა მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		6,200,586	8,622,710
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა მოგება/(ზარალი)		6,200,586	8,622,710
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		6,200,586	8,622,710

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 12 აგვისტო:

გენერალური დირექტორი

ფინანსური დირექტორი

შპს „სქაიტელი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	29,820,686	25,931,533
საინვესტიციო ქონება	13	8,741,110	-
არამატერიალური აქტივები		24,105	24,105
აქტივის გამოყენების უფლება	14	3,483,627	3,715,502
სულ გრძელვადიანი აქტივები		42,069,528	29,671,140
მარაგები	15	4,862,091	3,681,129
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	16	1,257,894	1,477,109
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17	1,222,422	933,117
ფული და ფულის ეკვივალენტები	18	654,459	2,104,598
სულ მოკლევადიანი აქტივები		7,996,866	8,195,953
სულ აქტივები		50,066,394	37,867,093
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	19	13,536,935	14,295,041
გაუნაწილებელი მოგება		17,036,830	10,836,244
სულ კაპიტალი		30,573,765	25,131,285
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება.	14	1,184,093	1,291,284
გრძელვადიანი სესხები	20	12,873,669	3,460,959
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		14,057,762	4,752,243
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული ავანსები		484,396	-
საიჯარო ვალდებულება	14	428,983	407,706
მოკლევადიანი სესხები	20	3,459,573	6,650,529
საგადასახადო ვალდებულებები		306,343	250,179
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21	755,572	675,151
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		5,434,867	7,983,565
სულ ვალდებულებები		19,492,629	12,735,808
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		50,066,394	37,867,093

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 12 აგვისტო:

გენერალური დირექტორი

ფინანსური დირექტორი

9-37 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „სქაიტელი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	29,820,686	25,931,533
საინვესტიციო ქონება	13	8,741,110	-
არამატერიალური აქტივები		24,105	24,105
აქტივის გამოყენების უფლება	14	3,483,627	3,715,502
სულ გრძელვადიანი აქტივები		42,069,528	29,671,140
მარაგები	15	4,862,091	3,681,129
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	16	1,257,894	1,477,109
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17	1,222,422	933,117
ფული და ფულის ეკვივალენტები	18	654,459	2,104,598
სულ მოკლევადიანი აქტივები		7,996,866	8,195,953
სულ აქტივები		50,066,394	37,867,093
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	19	13,536,935	14,295,041
გაუნაწილებელი მოგება		17,036,830	10,836,244
სულ კაპიტალი		30,573,765	25,131,285
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	14	1,184,093	1,291,284
გრძელვადიანი სესხები	20	12,873,669	3,460,959
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		14,057,762	4,752,243
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული ავანსები		484,396	-
საიჯარო ვალდებულება	14	428,983	407,706
მოკლევადიანი სესხები	20	3,459,573	6,650,529
საგადასახადო ვალდებულებები		306,343	250,179
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21	755,572	675,151
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		5,434,867	7,983,565
სულ ვალდებულებები		19,492,629	12,735,808
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		50,066,394	37,867,093

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 12 აგვისტო:

გენერალური დირექტორი

ფინანსური დირექტორი

შპს „სქაიტელი“

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა 19)	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2022	14,295,041	2,213,534	16,508,575
წლის მთლიანი სრული ზარალი		8,622,710	8,622,710
31 დეკემბერი 2023	14,295,041	10,836,244	25,131,285
კაპიტალის ზრდა			50,000
კაპიტალის შემცირება	(758,106)		(808,106)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		6,200,586	6,200,586
31 დეკემბერი 2024	13,536,935	17,036,830	30,573,765

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 12 აგვისტო:

გენერალური დირექტორი

ფინანსური დირექტორი

9-37 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „სქაიტელი“

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება


2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)


	საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა 19)	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2022	14,295,041	2,213,534	16,508,575
წლის მთლიანი სრული ზარალი		8,622,710	8,622,710
31 დეკემბერი 2023	14,295,041	10,836,244	25,131,285
კაპიტალის ზრდა			50,000
კაპიტალის შემცირება	(758,106)		(808,106)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		6,200,586	6,200,586
31 დეკემბერი 2024	13,536,935	17,036,830	30,573,765

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 12 აგვისტო:

გენერალური დირექტორი



ფინანსური დირექტორი



შპს „სქაიტელი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი მოგება დაბეგვრამდე		6,200,586	8,622,710
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	12,14	3,694,947	3,032,654
საპროცენტო ხარჯები	14,20	1,526,892	1,359,719
საექვო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების		35,003	22,419
აღდგენა/ხარჯი	17		
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული		43,602	-
მოგება			
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება, ნეტო	10	58,744	(334,504)
მარაგის ჩამოწერის ხარჯი		-	306,306
ფულადი სახსრების შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		11,559,774	13,009,304
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:			
შემცირება მარაგებში		(1,141,701)	(577,071)
ზრდა/ (შემცირება) გადახდილ ავანსებში		219,215	(499,187)
შემცირება/ (ზრდა) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(284,567)	(800,935)
ზრდა/ (შემცირება) გადახდილ ავანსებში		56,165	(266)
(შემცირება) /ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		74,442	(743,735)
ზრდა მიღებულ ავანსებში		484,395	(114,208)
ფულადი სახსრების შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან პროცენტამდე და დაბეგვრამდე		10,967,723	10,273,902
გადახდილი პროცენტები		(1,514,915)	(1,914,615)
წმინდა ფულადი სახსრების შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან		9,452,808	8,359,287
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(7,329,521)	(4,386,331)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		251,970	-
საინვესტიციო ქონების შეძენა		(8,741,110)	-
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		(15,818,661)	(4,386,331)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
აღებული სესხის გადახდა	20	(6,435,283)	(17,486,693)
სესხის აღება	20	12,558,954	14,522,101
საწესდებო კაპიტალის შემცირება	19	(758,106)	-
საიჯარო ვალდებულების გადახდა	14	(444,114)	(879,450)
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საფინანსო საქმიანობაში		4,921,451	(3,844,042)
ფულს და ფულს ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		(1,444,402)	128,914
ფული და ფული ეკვივალენტები წლის დასაწყისში		2,104,598	1,932,032
საკურსო სხვაობის გავლენა ფულსა და ფულს ეკვივალენტებზე		(5,737)	43,652
ფული და ფული ეკვივალენტები წლის ბოლოს		654,459	2,104,598

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 12 აგვისტო:

გენერალური დირექტორი

ფინანსური დირექტორი

9-37 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „სქიტილი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი მოგება დაბეგვრამდე		6,200,586	8,622,710
კორექტირებები			
ცვეთა და ამორტიზაცია	12,14	3,694,947	3,032,654
საპროცენტო ხარჯები	14,20	1,526,892	1,359,719
საეჭვო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების აღდგენა/ხარჯი	17	35,003	22,419
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება		43,602	-
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება, ნეტო მარაგის ჩამოწერის ხარჯი	10	58,744	(334,504)
		-	306,306
ფულადი სახსრების შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		11,559,774	13,009,304
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:			
შემცირება მარაგებში		(1,141,701)	(577,071)
ზრდა/(შემცირება) გადახდილ ავანსებში		219,215	(499,187)
შემცირება/(ზრდა) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(284,567)	(800,935)
ზრდა/(შემცირება) გადახდილ ავანსებში		56,165	(266)
(შემცირება) /ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		74,442	(743,735)
ზრდა მიღებულ ავანსებში		484,395	(114,208)
ფულადი სახსრების შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან პროცენტამდე და დაბეგვრამდე		10,967,723	10,273,902
გადახდილი პროცენტები		(1,514,915)	(1,914,615)
წმინდა ფულადი სახსრების შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან		9,452,808	8,359,287
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(7,329,521)	(4,386,331)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		251,970	-
საინვესტიციო ქონების შეძენა		(8,741,110)	-
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		(15,818,661)	(4,386,331)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
აღებული სესხის გადახდა	20	(6,435,283)	(17,486,693)
სესხის აღება	20	12,558,954	14,522,101
საწესდებო კაპიტალის შემცირება	19	(758,106)	-
საიჯარო ვალდებულების გადახდა	14	(444,114)	(879,450)
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საფინანსო საქმიანობაში		4,921,451	(3,844,042)
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		(1,444,402)	128,914
ფული და ფული ეკვივალენტები წლის დასაწყისში		2,104,598	1,932,032
საკურსო სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(5,737)	43,652
ფული და ფული ეკვივალენტები წლის ბოლოს		654,459	2,104,598

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 12 აგვისტო:

გენერალური დირექტორი

ფინანსური დირექტორი

შპს „სქაიტელი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარში)

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „სქაიტელი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2010 წლის 29 დეკემბერს, მდებარეობს საქართველოში. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია: 400013748. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს დ. გურამიშვილის გამზირი 23ა, თბილისი, საქართველო.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ინტერნეტის მიწოდება საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის უშუალო მფლობელები იყვნენ: ბესიკი მოსაშვილი 30% წილით, ნინო თოთაძე 20% წილით, ედუარდი ჯანაშვილი 10% წილით და დახურული ტიპის სააქციო საზოგადოება თიმ ინვესტ /სომხეთი/ 40% წილით. ხოლო, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის უშუალო მფლობელები იყვნენ: ბესიკი მოსაშვილი 30% წილით, ნინო თოთაძე 20% წილით, ლევან ხუნდაძე 15% წილით, ედუარდი ჯანაშვილი 5% წილით და დახურული ტიპის სააქციო საზოგადოება თიმ ინვესტ /სომხეთი/ 30% წილით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დირექტორი იყო არმან ობოსიანი, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დირექტორი იყო არჩილ ხოჯაშვილი.

შპს „სქაიტელის“ რეორგანიზაციის შედეგად შერწყმული კომპანიების ისტორია არის შემდეგი:

კომპანია	შერწყმა	შესყიდვა
შპს Skynet (416290187)	28/04/2016	05/04/2016
შპს ლაივ ნეტ (406096120)	20/06/2016	04/12/2016
შპს ინტერკომი (400077340)	28/07/2016	06/11/2017
შპს რეალნეტი (406070512)	20/09/2016	09/08/2016
შპს მაქსლინკი (404958499)	20/09/2016	09/08/2016
შპს ოდიში ნეტ (419989604)	25/05/2017	03/01/2017
შპს ბორჯომულა (426109123)	27/09/2017	07/07/2019
შპს GALAXY GEORGIA (425358383)	15/07/2019	11/04/2018
შპს GOLDNET (446955055)	10/07/2020	12/02/2020
შპს MAXNET (439393390)	17/12/2020	12/04/2021
შპს თრიალეთი-ნეტი (417882802)	17/12/2020	12/04/2021

საქართველო ავლენს ზრდადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, რომელიც შეიცავს ვალუტის არსებობას, რომლის კონვერტაცია ვერ ხდება თავისუფლად სხვა ქვეყნების უმრავლესობაში, შედარებით მაღალი ინფლაცია და ძლიერი ეკონომიკური ზრდა.

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკური გარემოზე.

ხელმძღვანელობას არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ისინი იღებენ ყველა საჭირო ზომას, რომ ხელი შეუწყოს კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

2. მომზადების საფუძვლები

ზოგადი ინფორმაცია

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რაც მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისაგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მიიღოს და დაანერგოს შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ საქმიანობა საქართველოში. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, სამომავლოდ განსახორციელებელი პროექტები, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა ფინანსური პროგნოზი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ აღწერილი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

წარდგენისა და ფუნქციონალური ვალუტა / უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის წარდგენისა და ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 USD/GEL	2.8068	2.6894
1 EUR/GEL	2.9306	2.9753

საშუალო კურსი წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

	2024	2023
1 USD/GEL	2.7208	2.6279
1 EUR/GEL	2.9440	2.8416

ფინანსური აქტივები

პირველადი აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამონაკლისია სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, კომპანია სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით.

სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

იმისათვის რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს კომპანია ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოღინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად.

ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც კომპანია ვალდებულია იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით. (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია კომპანიისთვის. კომპანია აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირ თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას. მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქტიაზე საკმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების კომპანიას ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოდინებებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზარდოდა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის,

რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა) სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად. შესაბამისად კომპანია არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიას შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორიულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

	< 30 დღე	30-60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	181-360	>360 დღე
რეზერვი %	2%	5%	10%	25%	50%	100%

დეტალები სავაჭრო მოთხოვნების და გაუფასურების რეზერვის შესახებ ინფორმაცია მოცემულია 17-ე შენიშვნაში.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსურ ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში.

ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები, გარდა სესხის და ფინანსური გარანტიებისა, აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით, როდესაც მათ ფლობენ სავაჭროდ, ან დერივატივულ ინსტრუმენტებად, ან გამოიყენება სამართლიანი ღირებულებით აღნიშვნა.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ვალდებულების გასტუმრება, გაუქმება ან ვადის ამოწურვა.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება მოხდება ახლით, იგივე მსესხებლისგან, მაგრამ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დაკორექტირდება საგრძნობლად, მსგავსი გადაცვლა ან კორექტირება აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, სხვაობა შესაბამის მიმდინარე ღირებულებებს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გადაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივი.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. გადახდილი ავანსები კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული გადახდილი ავანსი უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული გადახდილი ავანსები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული გადახდილი ავანსების ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულება. ძირითადი საშუალების თვითღირებულება წარმოდგენილია 2020 წლის 1 იანვრის თარიღით შეფასებული ღირებულებით.

მცირე შეკეთება განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება ნაშთის შემცირების მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში, რომელიც განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივის მიხედვით.

სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)

მიწა	არ იცვითება
შენობა-ნაგებობები	20
სატრანსპორტო საშუალებები	10
საკომუნიკაციო აღჭურვილობა	2-25
ოფისის აღჭურვილობა	2-30

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება წარმოადგენს ქონებას, რომლის ფლობაც ხდება საიჯარო შემოსავლის, კაპიტალის ზრდის ან ორივეს მისაღებად, და არა საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობის პროცესში გაყიდვის განხორციელების, წარმოებაში გამოყენების ან საქონლის და მომსახურებების მიწოდების, ან სხვა ადმინისტრაციული მიზნით. საინვესტიციო ქონება პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება საინვესტიციო ქონების შეძენას. საკუთარი ძალებით შექმნილი საინვესტიციო ქონების ღირებულება მოიცავს მასალების და პირდაპირი შრომის ხარჯებს, ნებისმიერ სხვა ხარჯს, რომელიც პირდაპირ უკავშირდება საინვესტიციო ქონების დანიშნულებისამებრ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას და კაპიტალიზებულ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ხარჯებს. აქტივად აღიარების შემდგომ საინვესტიციო ქონება აღირიცხება სამართლიანი ღირებულების მოდელით და ყოველი პერიოდის ბოლოს ახდენს დამოუკიდებელი შემფასებლის ჩართულობით აქტივის სამართლიანი ღირებულების დადგენას.

შემოსავლის აღიარება

კომპანიის შემოსავლები ძირითადად შედგება მომსახურების გაყიდვისგან. შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს დიდი ალბათობა კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის მიღების და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა, იმის მიუხედავად თუ როდის მოხდება თანხის მიღება. შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები თანხის სამართლიანი ღირებულებით, კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდის პირობების გათვალისწინებით, გადასახადების თუ ბაჟის გარეშე. კომპანიამ დაადგინა, რომ ის არის პრინციპალი ყველა შემოსავლის ხელშეკრულებაში, რადგან ის არის მთავარი მოვალე, აქვს ფასის ცვლილების შესაძლებლობა და ასევე ექვემდებარება მარაგების და საკრედიტო რისკს.

ყოველ ხელშეკრულებაზე კომპანია ახორციელებს შემდეგ ნაბიჯებს: ახდენს კონტრაქტის არსებობის იდენტიფიცირებას; განსაზღვრავს შესრულების ვალდებულებას; განსაზღვრავს ტრანზაქციის ფასს; ანაწილებს ტრანზაქციის ფასს თითოეული შესრულების ვალდებულებაზე და აღიარებს შემოსავალს მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა შესრულების ვალდებულება შესრულდება დაპირებული საქონლის ან მომსახურების მიწოდებით.

მოგების გადასახადი

გადასახადები წარმოადგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი ხელშეკრულების დაწყებისას რომელიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ, კომპანიამ უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.

იჯარა განიმარტება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

ამ განმარტების გამოსაყენებლად კომპანიამ უნდა შეაფასოს:

ა) კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის.

ბ) ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან არსებითი სარგებლის მიღების უფლება. აქტივის გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის უმეტესი წილის მიღების უფლების არსებობის შეფასებისას,

საწარმომ ეკონომიკური სარგებლის ის სახეები უნდა განიხილოს, რომლებიც აქტივის გამოყენებით მიიღება აქტივის გამოყენებაზე მომხმარებლის უფლებებისთვის დადგენილ გარკვეულ საზღვრებში. კომპანია განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

მოიჯარემ აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ აღნიშნული განაკვეთი არ არის ხელმისაწვდომი მოიჯარემ უნდა გამოიყენოს ზღვრული სასესხო განაკვეთი.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: ზრდის ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით; ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვით; და თავიდან აფასებს საბალანსო ღირებულებას საიჯარო გადახდების ცვლილებების შემთხვევაში.

მოიჯარის მიერ საიჯარო ვალდებულების თავიდან შეფასებისას კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აქტივის გამოყენების უფლება ნულის ტოლია, მოიჯარემ მოგება/ზარალი უნდა აღიაროს ნებისმიერი მოდიფიკაცია.

კომპანიამ გადაწყვიტა გამოიყენოს განთავისუფლების უფლება და მოკლევადიან იჯარასთან, ან დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღიაროს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აქტივის გამოყენების უფლება შესაძლოა აღირიცხოს ძირითად საშუალებებში ან განცალკევებულად, ხოლო საიჯარო ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ან განცალკევებულად.

კომპანია როგორც მეიჯარე

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა ფასს 16 -ის გამოყენების შემდეგ არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პოლიტიკისაგან. მეიჯარე განაგრძობს იჯარების ფინანსური ან საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირებას. იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას, წინააღმდეგ შემთხვევაში, კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და დამთავრებისა და გაყიდვის მოსალოდნელი ხარჯების სხვაობით.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტიცია აღიარებულია საწყისი ღირებულებით და დაკლასიფიცირებულია როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდის აღიარება ხდება ვალდებულებებში იმ წელს როდესაც ხდება გამოცხადება.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა საწარმოდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა საწარმოდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან. კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:
- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ინდივიდუალურად აისახება აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. კომპანიამ აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი:

- აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებას ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ:

- მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან
- საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდგომ

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის საჭიროა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ცვლილების დამტკიცება.

ახალი სტანდარტების, ინტერპრეტაციებისა და შესწორებების მიღება:

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის სტანდარტები თანხვედრაშია იმ სტანდარტებთან, რომელიც გამოყენებული იყო 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

ქვემოთ მითითებულია სტანდარტის ცვლილებები, რომლებიც ძალაში შევიდა 2024 წლის 1 იანვრიდან და ასევე ახალი სტანდარტები რომელთა ადრეული გამოყენების შესაძლებლობა აქვს კომპანიას.

შესწორებები ფასს 16-ში – სალიზინგო ვალდებულება გაყიდვა-უკუიჯარის (Sale and Leaseback) ოპერაციაში. ფასს 16-ში შეტანილი ცვლილებები განსაზღვრავს მოთხოვნებს, რომლებიც უნდა გამოიყენოს გამყიდველ-მოიჯარე

სალიზინგო ვალდებულების გასაზომად გაყიდვა-უკუიჯარის ოპერაციაში. ეს ცვლილებები უზრუნველყოფს, რომ გამყიდველ-მოიჯარე არ აღიარებს რაიმე მოგებას ან ზარალს, რომელიც დაკავშირებულია გამოყენების უფლების შენარჩუნებასთან.

შესწორებები ბასს 1-ში – ვალდებულებების კლასიფიკაცია როგორც მიმდინარე ან არამიმდინარე ბასს 1-ში შეტანილი ცვლილებები განსაზღვრავს მოთხოვნებს ვალდებულებების მიმდინარე ან არამიმდინარე კლასიფიკაციისთვის. შესწორებები განმარტავს:

- რას ნიშნავს ანგარიშსწორების გადავადების უფლება;
- რომ გადავადების უფლება უნდა არსებობდეს სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს;
- რომ კლასიფიკაცია არ განისაზღვრება იმის ალბათობით, რომ კომპანია გამოიყენებს თავის გადავადების უფლებას;
- რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონვერტირებადი ვალდებულების ჩართული წარმოებული ინსტრუმენტი თავად წარმოადგენს კაპიტალის ინსტრუმენტს, შეიძლება ვალდებულების პირობებს გავლენა არ ჰქონდეს მის კლასიფიკაციაზე.

• 3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გარდა ამისა, კომპანია ვალდებულია გაამჟღავნოს, როდესაც სესხის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც არამიმდინარედ და გადავადების უფლება დამოკიდებულია მომავალი კოვენანტების შესრულებაზე მომდევნო თორმეტ თვეში.

მომწოდებლის ფინანსური შეთანხმებები – ბასს 7 და ფასს 7-ის შესწორებები

ბასს 7 - ფულადი ნაკადების ანგარიშგებისა და ფასს 7 - ფინანსური ინსტრუმენტების შესწორებები:

შეტანილი შესწორებები განმარტავს მომწოდებლის ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებს და მოითხოვს დამატებით გამჟღავნებას მსგავსი შეთანხმებებისა.

გამჟღავნების მოთხოვნები შეტანილ შესწორებებში მიზნად ისახავს დაეხმაროს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს გაიგონ, თუ როგორ აისახება მომწოდებლის ფინანსური შეთანხმებები ორგანიზაციის ვალდებულებებზე, ფულად ნაკადებსა და ლიკვიდურობის რისკზე.

აღნიშნულ ცვლილებებს არ მოუხდენია მნიშვნელოვანი გავლენა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა თუმცა ჯერ არ შესულა ძალაში

გაცვლითუნარიანობის ნაკლებობა (ბასს 21-ის შესწორება)

2023 წლის 15 აგვისტოს, IASB-მ გამოსცა შესწორებები ბასს 21-ში, რომლებიც დაკავშირებულია გაცვლითუნარიანობის ხანგრძლივ ნაკლებობასთან.

წინასწარი მოთხოვნები ამ საკითხზე ბასს 21-ში არ არსებობდა, რის გამოც აღრიცხვაში სხვადასხვა პრაქტიკა გამოიყენებოდა. აღნიშნული შესწორებები ითვალისწინებს იმ შემთხვევებს, როდესაც ვალუტა არ არის გაცვლითუნარიანი და განსაზღვრავს, როგორ უნდა შეფასდეს გაცვლითი კურსი ასეთ შემთხვევებში.

გამომდინარე იქედან რომ კომპანიას ყველა ტრანზაქცია ნომინირებული გასცლისუანრიან მქონე ვალუტაში, შესაბამისად მის ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებით გავლენას არ იქონიებს, ზემოთ მოხსენიებული ცვლილება.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურება

კომპანია რეგულარულად ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების შეფასების გადახედვას. ახალი ფასს 9-ის მიხედვით, გაუფასურების მოდელი მოითხოვს, გაუფასურების რეზერვს ყველა რისკზე ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველი აღიარების მომენტიდან მისი საკრედიტო რისკის გაუარესების მიხედვით. თუ არ მომხდარა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, ფასს 9 მოითხოვს რეზერვს მომდევნო 12 თვის მანძილზე მოსალოდნელ დანაკარგებზე დაყრდნობით. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან/და თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის „გაუფასურებული“, სტანდარტი მოითხოვს, რეზერვის შექმნას მისი სასიცოცხლო ვადის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მიხედვით. იმის შეფასება, განიცადა თუ არა ფინანსურმა ინსტრუმენტმა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა განსხვავდება პროდუქტისა და რისკის სეგმენტში

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები (გაგრძელება)

მიხედვით კომპანია აღნიშნული საკრედიტო რისკის განსასაზღვრად იყენებს საკუთარ მსჯელობას. დეტალური ინფორმაცია კომპანიის გაუფასურების რეზერვებზე მოცემულია 17-ე შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე.

მიუხედავად იმისა რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ მონაცემებზე. სასარგებლო მომსახურების ვადა გადაიხედება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და დაშვებაში ცვლილების საჭიროების შემთხვევაში მოხდება მისი განახლება.

იჯარის გაგრძელების უფლება

როდესაც საწარმოს აქვს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება, ხელმძღვანელობამ უნდა შეაფასოს, საკმარისად სარწმუნო იქნება თუ არა ამ უფლების გამოყენება.

ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა ფაქტს და გარემოებას, მათ შორის წარსულ გამოცდილებას და ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც გაწეული იქნება აქტივის შესაცვლელად, თუ ეს უფლება არ იქნება გამოყენებული, რაც მათ დაეხმარება საიჯარო პირობების განსასაზღვრად. ხელმძღვანელობა თვლის რომ მათი შეფასება ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ადეკვატურია.

5 შემოსავალი პროდუქციის და მომსახურების რეალიზაციიდან

შემოსავალი პროდუქციის და მომსახურების რეალიზაციიდან 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	22,600,741	20,355,316
შემოსავალი საბითუმო ვაჭრობიდან	4,193,706	1,068,448
შემოსავალი მომსახურებიდან	1,122,138	4,267,264
სხვა საოპერაციო შემოსავლები	167,037	286,199
სულ შემოსავალი	28,083,622	25,977,227

2024 წელს შემოსავლის ზრდას ხელი შეუწყო კლიენტური ბაზის გაფართოებამ და B2B ფოკუსის გაძლიერებამ. B2C სეგმენტში ზრდა დაფიქსირდა, თუმცა ის ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე დაგეგმილი იყო, რაც ნაწილობრივ განპირობებულია ბაზრის კონკურენციითა და მომხმარებელთა ქცევის ცვლილებებით. ამ სეგმენტში ასევე განხორციელდა ინტერნეტის სიჩქარეების გაზრდა და ტარიფების სტრუქტურის კორექტირება, რაც მიზნად ისახავს კმაყოფილების და ერთ მომხმარებელზე შემოსავლის ზრდას.

შპს „სქაიტელი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

6 ხელფასის ხარჯი

ხელფასის ხარჯი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრებს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
ხელფასები	7,530,218	5,328,857
ბონუსები	777,692	722,841
საპენსიო ფონდი	190,343	136,550
თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევა	93,857	88,409
სულ ხელფასის ხარჯი	8,592,110	6,276,657

7 მიწოდების სხვა ხარჯები

მიწოდების სხვა ხარჯი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრებს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
ინტერნეტის შესყიდვა	1,278,681	1,366,970
ინტერნეტის შესყიდვასთან დაკავშირებული მომსახურება	513,316	491,464
სულ მიწოდების სხვა ხარჯები	1,791,997	1,858,434

მიწოდების ხარჯები ძირითადად შედგება ერთი მომწოდებლისგან შესყიდული ინტერნეტ პაკეტებისგან.

8 ტექნიკური მომსახურების ხარჯი

ტექნიკური მომსახურების ხარჯი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრებს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
მასალების დანახარჯები	821,481	701,411
კომუნიკაციის ხარჯები	116,243	83,961
სულ ტექნიკური მომსახურების ხარჯი	937,724	785,372

ტექნიკური მომსახურების ხარჯი წარმოადგენს კომპანიის მიერ აბონენტებისა და ძირითადი ქსელის რემონტისთვის / მომსახურებას, გამოყენებულ მასალების დანახარჯებს, ასევე სხვა სახის ტექნიკური მომსახურების ხარჯებს.

შპს „სქაიტელი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

9 სხვა საოპერაციო ხარჯი

სხვა საოპერაციო ხარჯი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრებს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
საწვავის ხარჯი	789,878	617,951
საოფისე ხარჯები	391,643	232,578
საგადასახადო ხარჯები	219,693	147,946
მარკეტინგის ხარჯი	176,056	40,640
სამივლინებო ხარჯი	171,081	152,887
კომუნალური ხარჯები	137,267	137,261
საკომისიო	89,420	55,442
საკონსულტაციო ხარჯები	75,064	73,676
სადაზღვეო ხარჯი	52,489	17,504
სხვა ხარჯები	225,779	141,588
სხვა საოპერაციო ხარჯები	2,328,370	1,617,473

10 კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება, წმინდა

კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება, წმინდა 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრებს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	39,741	56,807
ფული და ფულის ეკვივალენტები	(5,737)	43,652
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(5,979)	132,303
საიჯარო ვალდებულება	(663)	2,263
სასესხო ვალდებულებები	(86,106)	99,479
გაცვლითი კურსის ცვლილების წმინდა ეფექტი	(58,744)	334,504

11 სხვა არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი

სხვა არასაოპერაციო ხარჯი 2024 და 2023 წლებისათვის შედგება მარგების, სარემონტო ხარჯებისა და მარეგულირებლის ხარჯებისგან.

სხვა შემოსავლები	2024	2023
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	(251,970)	-
შემოსავალი იჯარიდან	(431,720)	-
სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	(683,690)	-

სხვა ხარჯი	2024	2023
რემონტის ხარჯი	252,537	177,150
რეალიზებული ძირითადი საშუალებების თვითღირებულება	208,368	-
კორპორატიული და კომერციული ხარჯი	62,452	-
სპონსორობის ხარჯი	41,003	-
შეწყვეტილი იჯარა	39,261	-
მარაგის ჩამოწერის ხარჯი	-	306,306
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	26,022	3,078
სულ სხვა არასაოპერაციო ხარჯები	629,643	486,534

12 ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა-ნაგებობები	ოფისის აღჭურვილობა	სატელეკომუნიკაციო მოწყობილობები	სატრანსპორტო საშუალებები	ჯამი
<i>ისტორიული ღირებულება</i>						
31 დეკემბერი, 2022	37,823	75,380	177,625	29,359,403	231,661	29,881,892
შეძენები	7,000	-	43,180	4,274,596	63,674	4,388,450
გასვლა	-	-	(2,032)	(66,292)	-	(68,324)
31 დეკემბერი, 2023	44,823	75,380	218,773	33,567,707	295,335	34,202,018
შეძენები	-	-	130,407	6,061,769	1,066,133	7,258,309
გასვლა	-	-	(1,178)	(198,844)	(108,249)	(308,271)
31 დეკემბერი, 2024	44,823	75,380	348,002	39,430,632	1,253,219	41,152,056
<i>დაგროვილი ცვეთა</i>						
31 დეკემბერი, 2022	-	(10,752)	(42,932)	(5,730,096)	(48,584)	(5,832,364)
ცვეთა	-	(3,231)	(27,312)	(2,415,839)	(23,561)	(2,469,943)
გასვლის ცვეთა	-	-	1,097	30,725	-	31,822
31 დეკემბერი, 2023	-	(13,983)	(69,147)	(8,115,210)	(72,145)	(8,270,485)
ცვეთა	-	(3,070)	(48,248)	(2,952,171)	(141,307)	(3,144,796)
გასვლის ცვეთა	-	-	484	59,471	23,956	83,911
31 დეკემბერი, 2024	-	(17,053)	(116,911)	(11,007,910)	(189,496)	(11,331,370)
<i>ნეტო საბალანსო ღირებულება</i>						
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	44,823	61,397	149,626	25,452,497	223,190	25,931,533
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	44,823	58,327	231,091	28,422,722	1,063,723	29,820,686

სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების ღირებულება, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 70,761 ლარი. კომპანიის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არის დატვირთული გირავნობით ან იპოთეკით. 2024 წელს ძირითადი საშუალებების ღირებულება გაიზარდა ლ3,889,153-ით და შეადგინა ლ29,820,686, რაც ძირითადად გამოწვეული იყო სატელეკომუნიკაციო ქსელის გაფართოებისათვის საჭირო ახალი საკომუნიკაციო აღჭურვილობის და ინფრასტრუქტურის შეძენით. ახალი აქტივების ძირითადი ნაწილი დაფინანსდა გრძელვადიანი სესხებითა და რეინვესტირებული მოგებით. სრულად დაგროვილი ცვეთის მოცულობამ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა ლ70,761. კაპიტალური ინვესტიციები მიზნად ისახავდა ქსელის გამტარობისა და სერვისის ხარისხის ზრდას, რაც წარმოადგენს კომპანიის სტრატეგიის ნაწილს ბაზრის წილის გაძლიერებისა და ოპერაციული ეფექტიანობის გაუმჯობესებისათვის.

შპს „სქაიტელი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

13 საინვესტიციო ქონება

	მიწა	შენობა-ნაგებობები	ჯამი
ისტორიული ღირებულება			
31 დეკემბერი, 2023			
შემენები *	2,318,873	6,422,237	8,741,110
აფასება	-	-	-
31 დეკემბერი, 2024	2,318,873	6,422,237	8,741,110
დაგროვილი ცვეთა			
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,318,873	6,422,237	8,741,110

(*) 2024 წლის 26 აგვისტოს კომპანიამ შეიძინა უძრავი ქონება, რომელიც მდებარეობს ქალაქ თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N145-ში. მოცემული ქონება აღიარებულია როგორც საინვესტიციო ქონება საერთაშორისო ანგარიშგების სტანდარტის (IAS 40 – საინვესტიციო ქონება) მოთხოვნების შესაბამისად, ვინაიდან ის ფლობს კომპანიის მიერ გრძელვადიანი მოგების ან კაპიტალური ზრდის მიზნით, და არ არის განკუთვნილი საკუთრებაში მომხმარებლისათვის ან ჩვეულ საქმიანობაში გასაყიდად. მიუხედავად იმისა, რომ IAS 40 ითხოვს საინვესტიციო ქონების აღრიცხვას აღიარების მომენტიდან სამართლიან ღირებულებაზე ან საბალანსო ღირებულებით, ქონება შეძენილია საანგარიშო თარიღთან (31 დეკემბერი 2024) ახლო პერიოდში, რის გამოც სამართლიანი ღირებულების განახლებული შეფასება არ იქნა აუცილებელი წლის ბოლოსთვის.

14 აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

კომპანიის საიჯარო ხელშეკრულებები მოიცავს საოპერაციო საქმიანობისთვის განკუთვნილ კომერციული ფართების, უძრავი ქონების, შენობა-ნაგებობებისა და საკაბელო ქსელების (ანძუბის) იჯარას. ყველა იჯარა, გარდა მოკლევადიანი ან დაბალი ღირებულების მქონე იჯარისა, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება.

ცვალებადი საიჯარო გადასახდელები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან პროცენტზე (როგორცაა საიჯარო გადასახდელები, დამოკიდებული კომპანიის გაყიდვების პროცენტულ მაჩვენებელზე), არ მონაწილეობენ საიჯარო ვალდებულებისა და აქტივის თავდაპირველ შეფასებაში.

იჯარების სახელშეკრულებო პერიოდი მოიცავს 1-15 წლიან პერიოდს, განახლების უფლებით. ხელშეკრულების განახლების უფლება გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკით. საიჯარო გადასახდელები ნომინირებულია ლარსა და დოლარში.

შპს „სქაიტელი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

14. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები (გაგრძელება)

აქტივის გამოყენების უფლება 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	მიწა	შენობა-ნაგებობები	საკომუნიკაციო აღჭურვილობა	სულ
ისტორიული ღირებულება				
31 დეკემბერი 2022	43,297	660,604	4,137,890	4,841,791
მიღება	192,083	-	-	192,083
მოდიფიკაცია	-	-	330,442	330,442
31 დეკემბერი 2023	235,380	660,604	4,468,332	5,364,316
მიღება	-	69,077	299,129	368,206
მოდიფიკაცია	-	-	66,114	66,114
შეწვეტა	-	-	(116,044)	(116,044)
31 დეკემბერი 2024	235,380	729,681	4,717,531	5,682,592
დაგროვილი ცვეთა				
31 დეკემბერი 2022	(14,532)	(337,315)	(758,889)	(1,110,736)
ცვეთა	(19,107)	(92,717)	(426,254)	(538,078)
31 დეკემბერი 2023	(33,639)	(430,032)	(1,185,143)	(1,648,814)
ცვეთა	(45,333)	(104,757)	(452,599)	(602,689)
შეწვეტა	-	-	52,538	52,538
31 დეკემბერი 2024	(78,972)	(534,789)	(1,585,204)	(2,198,965)
ნეტო საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2023	201,741	230,572	3,283,189	3,715,502
31 დეკემბერი 2024	156,408	194,892	3,132,327	3,483,627

ფასს 16-ის გამოყენებასთან დაკავშირებით, კომპანიამ აღიარა აქტივი გამოყენების უფლებით. კომპანიის საიჯარო ვალდებულება 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
ნაშთი წლის დასაწყისში	1,698,990	2,067,927
ახალი საიჯარო კონტრაქტები	368,206	196,315
საპროცენტო ხარჯი	202,499	270,333
საიჯარო გადასახადი	(646,613)	(1,149,783)
გადაფასების ეფექტი	663	(2,263)
შეწვეტილი იჯარა	(76,783)	-
მოდიფიკაცია	66,114	316,461
ნაშთი წლის ბოლოს	1,613,076	1,698,990

შპს „სქაიტელი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

14. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები (გაგრძელება)

საიჯარო ვალდებულებების ლიკვიდურობის ანალიზი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მიმდინარე საიჯარო ვალდებულება	428,983	407,706
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	1,184,093	1,291,284
სულ საიჯარო ვალდებულება	1,613,076	1,698,990

15. მარაგები

მარაგები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნედლეული და მასალები	4,828,427	3,647,047
საწვავი	33,664	34,082
სულ მარაგები	4,862,091	3,681,129

კომპანიის მარაგები არ არის დატვირთული მესამე პირის სასარგებლოდ.

16. მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები

მომწოდებლებზე გადახდილმა ავანსებმა 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა: 1,257,894 და 1,447,109 ლარი. მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები ძირითადად შედგება წინასწარ გადახდილი საიჯარო ვალდებულებებისგან პისი მაქსის მიმართ, ასევე მოცემულ მუხლში ასახულია ჯი-პი-აი ჰოლდინგის მიმართ გადახდილი საგარანტიო თანხები.

17. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,288,623	964,315
გამოკლებული: საექვო მოთხოვნების რეზერვი	(66,201)	(31,198)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,222,422	933,117

კომპანია ფინანსური აქტივების გაუფასურების მეთოდოლოგიისთვის იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი, მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხების მოძრაობა მოცემულია ქვემოთ:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გაუფასურების ანარიცხები წლის დასაწყისში	31,198	8,779
წლის დარიცხვა / (აღდგენა)	35,003	22,419
გაუფასურების ანარიცხები წლის ბოლოს	66,201	31,198

შპს „სქაიტელი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

17. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლე ვადიდან გამომდინარე.

კომპანიის პოლიტიკა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების შესახებ და გამოყენებული მატრიცა მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტის რისკის მიმართ იხილეთ 24-ე შენიშვნაში.

18 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
საბანკო ნაშთები ეროვნულ ვალუტაში	625,353	278,175
საბანკო ნაშთები უცხოურ ვალუტაში	29,106	1,826,423
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	654,459	2,104,598

ფულის ნაშთი ბანკში კლასიფიცირდება როგორც ურისკო. კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტის რისკის მიმართ იხილეთ 24-ე შენიშვნაში.

19 საწესდებო კაპიტალი

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 13,536,935 და 14,295,041 ლარს. 2024 წლის განმავლობაში კომპანიამ საწესდებო კაპიტალი შეამცირა 808,106 ლარით, ხოლო გაზარდა 50,000 ლარით. საწესდებო კაპიტალის ფორმირების ისტორია ასეთია: 2021 წლის 24 დეკემბრის შეთანხმება „ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის შესახებ“-თანახმად, ვინაიდან ხელშეკრულების შესაბამისად სქაიტელის მიმართ ლევან ხუნდაძეს მოთხოვნის უფლების ოდენობა შეადგენდა 10,127,000 ლარს, ასევე ლევან ხუნდაძეს წარმოეშვა დავალიანება სქაიტელის მიმართ 2021 წლის 24 ნოემბრის პარტნიორის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლის თანახმად სქაიტელის გაზრდილი კაპიტალის შევსების მიზნით ლევან ხუნდაძეს უნდა განეხორციელებინა კომპანიის კაპიტალში 10,127,000 ლარის შენატანი ფულადი სახით, რომლის სანაცვლოდ ის მიღებული იქნებოდა სქაიტელის 50% წილის მესაკუთრე პარტნიორად. შესაბამისად, რადგან ლევან ხუნდაძეს გააჩნდა სქაიტელის მიმართ 10,127,000 ლარის მოთხოვნა, ისევე როგორც, სქაიტელს გააჩნდა ლევან ხუნდაძის მიმართ პარტნიორის გადაწყვეტილების საფუძველზე ამავე ოდენობის მოთხოვნა, მხარეები შეთანხმდნენ, რომ მომხდარიყო ურთიერთ ვალდებულებათა გაქვითვა. ასევე, 2021 წლის 24 დეკემბრის შეთანხმება „ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის შესახებ“-თანახმად, სქაიტელს გააჩნდა ვალდებულება ნინო თოთაძის მიმართ 2020 წლის 16 დეკემბრის გაფორმებული „გადახდის განვადებით კომპანიაში პარტნიორის წილის ნასყიდობის ხელშეკრულება N16/12-2020-ის და 2021 წლის 1 ნოემბრის გაფორმებული „მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების“ საფუძველზე. ნინო თოთაძის მოთხოვნა შეადგენდა 4,050,800 ლარს. 2021 წლის 24 ნოემბრის მფლობელი პარტნიორის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება სქაიტელის კაპიტალის გაზრდის თაობაზე და გაზრდილი კაპიტალის შევსების სანაცვლოდ დათმობილი იქნა შესაბამისი წილი ნინო თოთაძის სასარგებლოდ. შესაბამისად ნინო თოთაძე გახდა სქაიტელის 20% წილის მესაკუთრე პარტნიორი.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, კომპანია გასცემს დივიდენდს წლიური მოგებიდან. 2024 წელს კომპანიას არ გაუცია დივიდენდი, (2023: ნული ლარი).

შპს „სქაიტელი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

20 მიღებული სესხები

ორგანიზაცია / სესხი	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	საპროცენტო სარგებელი	ვალუტა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
პროკრედიტ ბანკი	2024	2034	10.5%	ქართული ლარი	8,430,125	-
პროკრედიტ ბანკი	2024	2028	10.5%	ქართული ლარი	1,033,343	-
პროკრედიტ ბანკი	2023	2030	8.5%	ევრო	1,008,002	2,319,076
პროკრედიტ ბანკი	2023	2027	7.5%	ევრო	888,701	-
შპს იატ ინვესტ ჯორჯია	2020	2023	11.5%-14%	აშშ დოლარი	826,882	1,135,498
შპს აითიენ	2020	2023	9%	აშშ დოლარი	754,440	2,698,923
პროკრედიტ ბანკი	2024	2028	10.5%	ქართული ლარი	645,077	-
ლევან ხუნდაძე	2021	2026	12%	აშშ დოლარი	627,465	672,369
პროკრედიტ ბანკი	2020	2025	13% (2%)	ქართული ლარი	500,000	-
შპს სიმნეტი	2018	სრულად გადახდამდე	12%	ქართული ლარი	395,564	444,200
პროკრედიტ ბანკი	2024	2028	9.2%	აშშ დოლარი	359,341	-
პროკრედიტ ბანკი	2024	2028	10.5%	ქართული ლარი	320,805	-
პროკრედიტ ბანკი	2024	2028	10.5%	ქართული ლარი	233,237	-
პროკრედიტ ბანკი	2023	2025	13%	ქართული ლარი	180,254	1,233,056
პროკრედიტ ბანკი	2019	2025	11.5% (2%)	ქართული ლარი	130,006	-
პროკრედიტ ბანკი	2022	2024	13.3%	ქართული ლარი	-	1,608,366
სულ, მათ შორის					16,333,242	10,111,488
ბირი					16,314,672	10,082,439
გადასახდელი პროცენტი					18,570	29,049

კომპანიას აქვს მიღებული საბანკო და არასაბანკო სესხები. საბანკო სესხებიდან გრაფიკის მიხედვით მოხდა გრძელვადიანიდან მიმდინარე სესხის ნაწილის გამოყოფა. არასაბანკო სესხებიდან მოკლევადიან სესხებად ვალდართ ის სესხები, რომლის დაფარვის ვადა ხელშეკრულებით სრულდებოდა 2023, 2024 და 2025 წელს.

შპს „სქაიტელი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

20 მიღებული სესხები (გაგრძელება)

სესხების რეკონსილაცია 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
1 იანვარი	10,111,488	13,730,456
ფულადი ნაკადები:		
ათვისება	12,558,954	14,522,101
დაფარვა	(6,435,283)	(17,486,693)
სესხის პროცენტის დაფარვა	(1,312,416)	(1,644,282)
არაფულადი ნაკადები:		
პერიოდში დარიცხული საპროცენტო ხარჯი	1,324,393	1,089,385
საკურსო სხვაობის ეფექტი	86,106	(99,479)
31 დეკემბერი	16,333,242	10,111,488

21 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ეკვივალენტები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო ვალდებულებები	711,451	463,937
გადასახდელი ხელფასები	44,121	211,214
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	755,572	675,151

აღნიშნული ფინანსური ვალდებულებების ვადები და პირობები:

- სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი და გადახდის პირობა არის ერთ წლამდე.
- სახელფასო ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი და გადახდის პირობა არის სამ თვემდე.
- სხვა ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი და საშუალო გადახდის ვადა აქვს სამი თვემდე.
- ქვე-კონტრაქტორებისთვის გადასახდელი ვალდებულებების გადახდის ვადა არის 1-დან 2 წლამდე.

საქონლის შესყიდვის საშუალო საკრედიტო პერიოდია 2024 წელს შეადგენდა 30 დღეს (2023: 30 დღე). სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. კომპანიას აქვს ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკა, რათა დარწმუნდეს, რომ ყველა ვალდებულება გადახდილი იქნება საკრედიტო დროის ჩარჩოში.

კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტის რისკის მიმართ იხილეთ 24-ე შენიშვნაში.

22 მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2018 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად. 2024 და 2023 წელს არ მომხდარა დივიდენდის განაწილება.

23 პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. ხელმძღვანელობის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხო მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასევე არ არსებობს შესაბამისი რეზერვი).

საოპერაციო იჯარის გადახდები

მინიმალური საიჯარო გადახდები	2024	2023
1 წლამდე	2,006,270	2,764,987
1-დან 3 წლამდე	360,999	4,157,511
3-დან 5 წლამდე	4,613,249	2,416,903
სულ მინიმალური საიჯარო გადახდები	6,980,518	9,339,401

24 ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის ხელმძღვანელობის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს:

- საკრედიტო რისკს;
- საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო, საპროცენტო და სხვა საფასო რისკებს),
- ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკს.

ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა.

საკრედიტო რისკი

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკებს, აღნიშნული რისკის მიხედვით საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ სხვა მხარისათვის ვალდებულებს ვერ შესრულებით წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ პროდუქციის შემდგომი გადახდის პირობით რეალიზების საფუძველზე და ასევე სხვა ტრანზაქციების საფუძველზე, რომელიც ზრდის ფინანსურ აქტივებს.

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურების გამოკლებით	1,222,422	933,117
ფული და ფულის ეკვივალენტები	654,459	2,104,598
საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა	1,876,881	3,037,715

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიკური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

შპს „სქაიტელი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

24. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის ხელმძღვანელობა ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის დონეზე მართვით.

31 დეკემბერი, 2024	ევრო	აშშ დოლარი	სულ
<i>ფინანსური აქტივები</i>			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	181,004	-	181,004
ფული და ფულის ეკვივალენტები	314	28,376	28,690
სულ ფინანსური აქტივები	181,318	28,376	209,694
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>			
მიღებული სესხები	1,896,703	2,568,128	4,464,831
საიჯარო ვალდებულება	-	12,727	12,727
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	117,224	76,114	193,338
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,013,927	2,656,969	4,670,896
ღია სავალუტო პოზიცია	(1,832,609)	(2,628,593)	(4,461,202)

31 დეკემბერი, 2023	ევრო	აშშ დოლარი	სულ
<i>ფინანსური აქტივები</i>			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	106,311	-	106,311
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,809,639	16,237	1,825,876
სულ ფინანსური აქტივები	1,915,950	16,237	1,932,187
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>			
მიღებული სესხები	2,319,076	4,506,790	6,825,866
საიჯარო ვალდებულება	-	77,712	77,712
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	26,665	26,665
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,319,076	4,611,167	6,930,243
ღია სავალუტო პოზიცია	(403,126)	(4,594,930)	(4,998,056)

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს მოგების ან ზარალისა მგრძნობელობას სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, ყველა სხვა ცვლადების მუდმივობის პირობებში:

	დოლარის ეფექტი 2024		ევროს ეფექტი 2024	
	ზრდა 20%	შემცირება 20%	ზრდა 20%	შემცირება 20%
	(2,628,593)	2,628,593	(366,522)	366,522
	დოლარის ეფექტი 2023		ევროს ეფექტი 2023	
	ზრდა 20%	შემცირება 20%	ზრდა 20%	შემცირება 20%
მოგება / ზარალი	(918,986)	918,986	(80,625)	80,625

მპს „სქაიტელი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

24. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა რომ მცურავი საპროცენტო განაკვეთი უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. კომპანია არ იყენებს რაიმე წარმოებულ ფასიან ქაღალდებს საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის მიზნით, როდესაც კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეულ ნაწილს ფიქსირებულ განაკვეთი აქვს და შესაბამისად, რისკი არის შეზღუდული.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულებების გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

ქვემოთ მოცემული ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენ საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებულ ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადების ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

31 დეკემბერი, 2024	ერთ წელზე ნაკლები	ერთ წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურების გამოკლებით	1,222,422	-	1,222,422
ფული და ფულის ეკვივალენტები	654,459	-	654,459
სულ ფინანსური აქტივები	1,876,881	-	1,876,881
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	755,572		755,572
საიჯარო ვალდებულება	428,983	1,184,093	1,613,076
სესხები	3,459,573	12,873,669	16,333,242
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,644,128	14,057,762	18,701,890
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	(2,767,247)	(14,057,762)	(16,825,009)

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადების ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

31 დეკემბერი, 2023	ერთ წელზე ნაკლები	ერთ წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	933,117	-	933,117
გაუფასურების გამოკლებით			
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,104,598	-	2,104,598
სულ ფინანსური აქტივები	3,037,715	-	3,037,715
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	675,151		675,151
საიჯარო ვალდებულება	407,706	1,291,284	1,698,990
სესხები	6,650,529	3,460,959	10,111,488
სულ ფინანსური ვალდებულებები	7,733,386	4,752,243	12,485,629
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	(4,695,671)	(4,752,243)	(9,447,914)

შპს „სქაიტელი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

25 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“ წარმოადგენს :

- (ა) მხარეები რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის მშობლები შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (ბ) პარტნიორი საწარმო - საწარმოები რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (ც) ერთობლივი საწარმოები სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (დ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (ე) მხარე რომელიც კონტროლდება ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს პირდაპირ ან ირიბად (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდებს.

განხორციელდა შემდეგი ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:

		31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური ანგარიშგების მუხლი	ურთიერთობა	ნაშთი დაკავშ. მხარეებთან	ნაშთი დაკავშ. მხარეებთან
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	საერთო კონტროლის ქვეშ	-	24,931
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	საერთო კონტროლის ქვეშ	4,940	-
მიღებული სესხები	საერთო კონტროლის ქვეშ	645,561	672,369
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	საერთო კონტროლის ქვეშ	-	-

		2024	2023
მოგება ზარალის მუხლი	ურთიერთობა	ნაშთი დაკავშ. მხარეებთან	ნაშთი დაკავშ. მხარეებთან
საპროცენტო ხარჯი	საერთო კონტროლის ქვეშ	(58,326)	(63,610)

		2024	2023
უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება			
ხელფასები და სხვა თანამშრომელთა სარგებელი		633,739	1,043,281

26 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 12 აგვისტოს.

- კომპანიის საწესდებო კაპიტალი შემცირდა 2,145,524 ლარით
- კომპანიამ აიღო რამდენიმე ახალი სესხი დოლარში პროკრედიტ ბანკისგან, ჯამურად 849,210 ლარი, ხოლო ლარში 3,133,865 ლარი, აითვისა საკრედიტო ხაზი პროკრედიტ ბანკისგან ჯამურად 630,000 ლარი,
- დაფარა პროკრედიტ ბანკიდან აღებული სესხები, ჯამურად 1,211,068 ლარის ოდენობით;
- დაფარა შპს აითიენთან არსებული სასესხო ვალდებულება 561,576 ლარის ოდენობით;
- დაფარა ლევან ხუნდაძესთან შპს სიმნეტთან არსებული სესხები ჯამურად 316,951 ლარის ოდენობით

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

შპს სქაიტელი

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

მმართველობის ანგარიშგება:

1. ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა, ზოგადი ინფორმაცია	40
2. კომპანიის საქმიანობა	41
3. განვითარების გეგმები	41
4. ინფორმაცია ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების შესახებ	42
5. კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკები.....	45
6. დასკვნა და მომავალი ხედვა.....	49

1. ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობაზოგადი ინფორმაცია

ზოგადი ინფორმაცია, შპს სქაიტელი (შემდგომში – “კომპანია”) თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, კომპანია ქმნის ახალ შესაძლებლობებს მთელ საქართველოში, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური მდგრადობის და განვითარების მიმართულებით. ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს, თანამედროვე ციფრული საქართველოს იდეის ფორმირებაში.

კომპანიის გუნდი დაკომპლექტებულია სატელეკომუნიკაციო სფეროში მრავალწლიანი გამოცდილების მქონე მაღალკვალიფიციური გუნდით.

კომპანია წარმოადგენს “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე და მათ შესაბამისად ჩამოყალიბებულ სამეწარმეო (კომერციულ) იურიდიულ პირს. 2024 წლისთვის კომპანიის დამფუძნებლები და წილის მფლობელები არიან:

ფიზიკური პირი: ედუარდ ჯანოაშვილი - 10%

ფიზიკური პირი: ნინო თოთაძე - 20%

ფიზიკური პირი: ბესიკ მოსაშვილი - 30%

იურიდიული პირი: დახურული საზოგადოება თიმ ინვესტ - 40%

2024 წლიდან, 1 აგვისტოდან, კომპანიის დირექტორია არმან ობოსიანი (პ/ნ 01012014833).

კომპანია დაფუძნდა 2010 წლის 29 დეკემბერს, 7 თანამშრომლით. 2024 წელს, თანამშრომლების საერთო რაოდენობა დაახლოებით 330-დან 446 თანამშრომელამდე გაიზარდა, სადაც ხელფასების ზრდის 80%-ზე მეტი კონცენტრირებული იყო ძირითად ოპერაციულ და ტექნიკურ პოზიციებზე. დაქირავების უმეტესობა 2024 წლის პირველ ნახევარში მოხდა; აგვისტოში კომპანიამ შეანელა და შემდეგ მთლიანად შეაჩერა ახალი დაქირავება, რამაც წლის დარჩენილი პერიოდისთვის თანამშრომლების რაოდენობა დაახლოებით 450 თანამშრომლით დააწესა.

ამ პერიოდში მენეჯმენტის ანაზღაურებაში ან წამახალისებელ სქემებში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. ცვლადი ანაზღაურება დარჩა ხელფასის მთლიანი რაოდენობის 5%-ზე ნაკლები, ხოლო ადმინისტრაციული თანამშრომლების რაოდენობა სტაბილური იყო. პერსონალის ხარჯების ეს ზრდა უნდა განვიხილოთ, როგორც სტრატეგიული ინვესტიცია ოპერაციული უწყვეტობის, მომსახურების ხარისხისა და ქსელის დაჩქარებული გაფართოების შესაძლებლობებში. მენეჯმენტი არ ელის მსგავსი დასაქმების მოცულობის განმეორებას 2025 წელს. სამომავლო გეგმები ორიენტირებულია მოკრძალებულ წმინდა დამატებებზე - ძირითადად ჩანაცვლებისა და სპეციფიკური დამხმარე ფუნქციებისთვის - ინფლაციასთან დაკავშირებულ ხელფასების კორექტირებასთან ერთად, რაც შეესაბამება კომპანიის უფრო ფართო სტრატეგიას ხარჯების ეფექტურობისა და მარჟის დაცვის მიმართულებით.

მიუხედავად გაფართოებისა, შიდა საორიენტაციო ანალიზი და GeoStat-ის შრომის ბაზრის მონაცემები მიუთითებს, რომ ამ პოზიციებზე საშუალო მთლიანი ხელფასები 10–15%-ით დაბალია ეროვნული ბაზრის საშუალო მაჩვენებელზე, რაც ასახავს ხარჯების დისციპლინირებულ მართვას.

აღსანიშნავია, რომ კომპანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თანამშრომლების განათლების ხარისხს, გამოცდილებას და კომპეტენციას.

კომპანიაში მუშაობს გამოცდილი და მაღალი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლების გუნდი, რაც კომპანიის წარმატებული საქმიანობის საფუძველია.

2. კომპანიის საქმიანობა

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა უზრუნველყოს ინტერნეტის სერვისის ხელმისაწვდომობა, ტელევიზიის, და ქსელური კავშირით, ოპტიკური და რადიო, საქართველოს ყველა რეგიონში, მათ შორის ყველაზე მოშორებულ ადგილებში. ამ მიზნის მისაღწევად, კომპანია იყენებს თანამედროვე სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურას, ოპტიკურ და რადიო ქსელებს, ასევე ინოვაციურ საინჟინრო და ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებს, მათ შორის განახლებადი ენერგიის წყაროებს, როგორცაა მზის პანელები, ქსელის უწყვეტი მუშაობის უზრუნველსაყოფად.

სქაიტელი გარდა ფიზიკური პირების სეგმენტში, ასევე აქტიურად მუშაობს და აფართოებს კორპორატიულ მიმართულებას, სერვისების პორტფელის გაფართოებისა და კორპორატიული კლიენტებისთვის მორგებული გადაწყვეტილებების მიმართულებით.

ამასთან ერთად, მნიშვნელოვანი პრიორიტეტია სახელმწიფო სექტორთან თანამშრომლობა, მათ შორის საჯარო სკოლების და სხვა სოციალური დაწესებულებების ინტერნეტით და კავშირის უზრუნველყოფა, რაც ხელს უწყობს ქვეყნის ციფრულ განვითარებას და განათლების ხელმისაწვდომობას.

მიუხედავად მზარდი კონკურენციისა, სქაიტელი აგრძელებს მომხმარებელთა რაოდენობას და დაფარვის ზონის გაფართოებას. კომპანიის მომსახურება დღეს უკვე ხელმისაწვდომია უმეტეს რეგიონში, ქალაქსა და სოფელში, ხოლო ბაზრის წილის ზრდის ტემპები და დაფარვის გეოგრაფია ადასტურებს „სქაიტელი“-ს ერთ-ერთ წამყვან პოზიციას საქართველოში.

3. განვითარების გეგმები

„სქაიტელი“ აგრძელებს ქსელის სტრატეგიულ გაფართოებას, სერვისებზე მაქსიმალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის ყველაზე მოშორებულ და რთულად მისადგომ რეგიონებში. უახლოეს წლებში კომპანია გეგმავს არა მხოლოდ შეამციროს კავშირის ხარვეზები და გააფართოოს დაფარვის ზონა, არამედ შექმნას ინფრასტრუქტურა, რომელიც შეძლებს სრულად დააკმაყოფილოს როგორც ფიზიკური პირების, ისე კორპორატიული და სახელმწიფო სექტორების მზარდი მოთხოვნები.

კორპორატიული მიმართულებით იგეგმება სერვისების პორტფელის გაფართოება, ღრუბლოვანი გადაწყვეტილებების, კიბერუსაფრთხოების და ბიზნესისთვის გაერთიანებულ შეთავაზებების შექმნას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სახელმწიფო პროექტებს, მათ შორის საჯარო სკოლების, მუნიციპალური დაწესებულებების ინტერნეტით უზრუნველყოფას და კავშირს, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ციფრულ განვითარებას და სოციალური მომსახურების ხარისხის ამაღლებას.

ოპერაციული ეფექტიანობის გასაზრდელად, „სქაიტელი“ გააგრძელებს შიდა მომხმარებლის სისტემების განვითარებას, მათ შორის ახალ ERP-ი სისტემაზე გადასვლას, საბილინგო სისტემის სრულყოფას, ფინანსური რეპორტების დიგიტალიზაციას და ავტომატიზაციას, ტექნიკური და საოპერაციო ხარჯების ოპტიმიზაციას და რესურსების მართვის ავტომატიზებული პროცესების დანერგვას.

ეკოლოგიაზე ზრუნვა კომპანიის სტრატეგიის ნაწილია. მდგრადი განვითარების ფარგლებში, იგეგმება ავტოპარკის მიმართულებით ელექტრომობილების გამოყენება და განახლებადი ენერგიის წყაროების, მათ შორის მზის პანელების ინტეგრაცია, ქსელის უწყვეტი მუშაობისა და გარემოზე ზემოქმედების შემცირების მიზნით.

აღნიშნული ინიციატივების განხორციელება „სქაიტელს“ საშუალებას მისცემს კიდევ უფრო განამტკიცოს ლიდერული პოზიციები ბაზარზე, გააფართოოს მომხმარებელთა პორტფელს და უზრუნველყოს გრძელვადიანი სტაბილური ზრდა, ეკონომიკური ეფექტიანობის, სოციალური და ეკოლოგიური პასუხისმგებლობის კომბინაციით.

4. ინფორმაცია ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების შესახებ

კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები შემდეგია:

	2024	2023	ცვლილება
საერთო მოგების მარჟა	28%	39%	-11%
წმინდა მოგების მარჟა	22%	33%	-11%
აქტივებზე უკუგება	12%	23%	-10%
კაპიტალზე უკუგება	20%	34%	-14%

კომენტარები და ინტერპრეტაცია (4):

- **მარჟის შემცირება** 2024 წელს ძირითადად გამოწვეულია ოპერაციული ხარჯების ზრდით, რომელიც დაკავშირებულია კადრების გაფართოებასთან, ინფრასტრუქტურაში ინვესტიციებთან და ახალი სერვისული მიმართულებების გაშვებასთან. აღნიშნული ხარჯები სტრატეგიული ხასიათისაა და მიმართულია მომხმარებელთა პორტფელის და საბაზრო წილის გრძელვადიან ზრდაზე.
- **მთლიანი და წმინდა მოგების მარჟა** სტაბილურ დონეზე რჩება, რაც საშუალებას აძლევს კომპანიას განაგრძოს განვითარება.
- **აქტივებისა და კაპიტალის მოგებიანობის შემცირება** დაკავშირებულია საინვესტიციო ზრდასთან, თუმცა საშუალო ვადაში მოსალოდნელია ამ მაჩვენებლების ზრდა, რადგან ახალი პროექტები ოპერაციულ ამოსავალს მიაღწევს.
- **შემოსავლების დივერსიფიკაცია** და სერვისების პორტფელის გაფართოება, განსაკუთრებით კორპორატიულ მიმართულებას, მიზნად ისახავს მარჟის გაუმჯობესებას და ფინანსური მაჩვენებლების სტაბილურობის ზრდას უკვე 2025–2026 წლებში.

სტრატეგიული დასკვნა:

2024 წელი იყო აქტიური ინვესტიციების პერიოდი, რამაც დროებით იმოქმედა მარჟის მაჩვენებლებზე, თუმცა შექმნა საფუძველი ბიზნესის მასშტაბირებისათვის. კომპანია ინარჩუნებს ფინანსურ სტაბილურობას და ამტკიცებს მზაობას შემდგომი ზრდისთვის, ინარჩუნებს ისეთ ფინანსურ მაჩვენებლებს, რომლებიც საშუალებას აძლევს თავდაჯერებულად განახორციელოს სტრატეგიული ინიციატივები.

4. ინფორმაცია ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების შესახებ (გაგრძელება)

	2024	2023
შემოსავალი პროდუქციის და მომსახურების რეალიზაციიდან*	28,083,622	25,977,227
საოპერაციო ხარჯები		
ხელფასის ხარჯი	(8,592,110)	(6,276,657)
ცვეთა და ამორტიზაცია	(3,694,947)	(3,032,654)
მიწოდების და სხვა ხარჯები	(1,791,997)	(1,858,434)
ტექნიკური მომსახურების ხარჯი	(937,724)	(785,372)
იჯარის ხარჯი	(2,971,296)	(2,249,759)
საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის აღდგენა/ხარჯი	(35,003)	(22,419)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(2,328,370)	(1,617,473)
საოპერაციო მოგება	7,732,175	10,134,459
გუდვილის გაუფასურების ხარჯი	-	-
საპროცენტო შემოსავლები	-	-
საპროცენტო ხარჯი	(1,526,892)	(1,359,719)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება, წმინდა	(58,744)	334,504
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	683,690	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(629,643)	(486,534)
წლის წმინდა მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	6,200,586	8,622,710
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
წლის წმინდა მოგება/(ზარალი)	6,200,586	8,622,710
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)	6,200,586	8,622,710

კომენტარები და ინტერპრეტაცია (4):

2024 წელს „სქაიტელი“-ში შემოსავლების ზრდა ხელი შეუწყო მომხმარებელთა ბაზის გაფართოებამ როგორც კორპორატიულ მიმართულებაში, ასევე ფიზიკური პირების სეგმენტში.

ოპერაციული და წმინდა მოგების შემცირება დაკავშირებულია გეგმურ სტრატეგიულ ინვესტიციებთან — ძირითადად თანამშრომლების გაფართოებასთან, ქსელის ტექნიკურ განვითარებასთან და ახალი სერვისების გაშვებასთან. აღნიშნული ინვესტიციები მიმართულია გრძელვადიან ზრდასა და საბაზრო პოზიციების გამყარებაზე.

2025 წლის პროგნოზი

კორპორატიულ მიმართულებაში მოსალოდნელია შემოსავლების ზრდა სერვისების პორტფელის გაფართოებით, მათ შორის ღრუბლოვანი გადაწყვეტილებებით, კიბერუსაფრთხოების სერვისებით და ბიზნესისთვის ინტეგრირებული გადაწყვეტებით.

ფიზიკური პირების სეგმენტში ზრდას უზრუნველყოფს აქტიური მარკეტინგული კამპანიები, ტარიფული გეგმების განახლება და ქსელის ხარისხის გაუმჯობესება.

კომპანია ასევე გეგმავს გააფართოოს მონაწილეობა სახელმწიფო პროექტებში, მათ შორის საჯარო სკოლებისა და სოციალური ობიექტების ინტერნეტი უზრუნველყოფაში, რაც მხარს დაუერს შემოსავლების ზრდასა და ბაზარზე პოზიციების გამყარებას.

„სქაიტელი“ ინარჩუნებს ფინანსურ სტაბილურობას და აგრძელებს ინფრასტრუქტურაში ინვესტირებას, რათა უზრუნველყოს ბალანსი ზრდასა და მომგებიანობას შორის.

4. ინფორმაცია ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების შესახებ (გაგრძელება)

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	29,820,686	25,931,533
საინვესტიციო ქონება	8,741,110	-
არამატერიალური აქტივები	24,105	24,105
გუდვილი	-	-
აქტივის გამოყენების უფლება	3,483,627	3,715,502
სხვა აქტივები	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	42,069,528	29,671,140
მარაგები	4,862,091	3,681,129
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1,257,894	1,477,109
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,222,422	933,117
საგადასახადო აქტივები	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	654,459	2,104,598
სულ მოკლევადიანი აქტივები	7,996,866	8,195,953
სულ აქტივები	50,066,394	37,867,093
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	13,536,935	14,295,041
გაუნაწილებელი მოგება	17,036,830	10,836,244
სულ კაპიტალი	30,573,765	25,131,285
გრძელვადიანი ვალდებულებები		
საინვესტიციო ვალდებულება	-	-
საიჯარო ვალდებულება	1,184,093	1,291,284
გრძელვადიანი სესხები	12,873,669	3,460,959
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	14,057,762	4,752,243
მოკლევადიანი ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	484,396	-
საიჯარო ვალდებულება	428,983	407,706
მოკლევადიანი სესხები	3,459,573	6,650,529
საგადასახადო ვალდებულებები	306,343	250,179
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	755,572	675,151
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	5,434,867	7,983,565
სულ ვალდებულებები	19,492,629	12,735,808
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	50,066,394	37,867,093

2024 წელს კომპანიის აქტივები 32%-ით გაიზარდა, რაც ასახავს ინფრასტრუქტურაში განხორციელებულ მასშტაბურ ინვესტიციებს, მათ შორის ძირითადი საშუალებების გაფართოებას და საინვესტიციო ქონების შეძენას.

გრძელვადიანი ვალდებულებების ზრდა ძირითადად დაკავშირებულია სტრატეგიული პროექტებისთვის საჭირო დაფინანსების მოზიდვასთან, ხოლო მოკლევადიანი ვალდებულებები შემცირდა სესხების ნაწილის დაფარვისა და საბრუნავი კაპიტალის მართვის გაუმჯობესების შედეგად.

საკუთარი კაპიტალის წილი საერთო პასივებში 60%-ს აღემატება, რაც ადასტურებს ფინანსურ სტაბილურობას და დაბალ საგარეო ვალის დონეს. გაუნაწილებელი მოგების ზრდა აჩვენებს კომპანიის შესაძლებლობას შეინარჩუნოს მომგებიანობა აქტიური საინვესტიციო პოლიტიკის პირობებშიც.

5. კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკები

„სქაიტელი“ იცავს კონსერვატიულ ფინანსურ პოლიტიკას, რაც ამცირებს კომპანიის მოწყვლადობას გარე ფაქტორების მიმართ და უზრუნველყოფს სტაბილურ ზრდას.

საკრედიტო რისკი

ფინანსურ ინსტიტუტებთან ურთიერთობები გრძელვადიანია, რაც იძლევა სტაბილურ დაფინანსების პირობებს.

საბაზრო რისკი

შემცირებულია შემოსავლის სტრუქტურის დაბალანსებით კორპორატიულ და ფიზიკური პირების სეგმენტებს შორის, ასევე სახელმწიფო პროექტებში მონაწილეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგნოზირებად ფულადი ნაკადებს.

სავალუტო რისკი

კონტროლდება ვალუტური პოზიციების ჰეჯირებით და შესყიდვების დაგეგმვით კურსების მერყეობის გათვალისწინებით. პრიორიტეტი ენიჭება ეროვნულ ვალუტაში კონტრაქტების გაფორმებას, განსაკუთრებით სახელმწიფო სექტორთან მუშაობისას.

ლიკვიდურობის რისკი

კომპანია ინარჩუნებს ოპტიმალურ ლიკვიდური სახსრების მარაგს და გააჩნია საკრედიტო ხაზებზე წვდომა პროექტების სწრაფად დასაფინანსებლად. ფულადი ნაკადები იგეგმება კვარტალურად, სეზონურობისა და საინვესტიციო ციკლების გათვალისწინებით.

სტრატეგიული მიდგომა

ყველა ფინანსური რისკი ინტეგრირებულია „სქაიტელის“ რისკების მართვის სისტემაში, რომელიც მოიცავს საკვანძო მაჩვენებლების მუდმივ მონიტორინგს, ავტომატიზებულ ანგარიშგებას და სცენარების დაგეგმვას. ეს საშუალებას იძლევა დროულად კორექტირდეს სტრატეგია და გამოყენებულ იქნას შესაძლებლობები, თუნდაც არასტაბილურ საბაზრო გარემოში.

კომპანიის მიერ გამოყენებული მთავარი ფინანსური ინსტრუმენტები არის შემდეგი:

31 დეკემბერი, 2024 31 დეკემბერი, 2023

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურების გამოკლებით	1,222,422	933,117
ფული და ფულის ეკვივალენტები	654,459	2,104,598
სულ ფინანსური აქტივები	1,876,881	3,037,715
მიღებული სესხები	16,333,242	10,111,488
საიჯარო ვალდებულება	1,613,076	1,698,990
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	755,572	675,151
სულ ფინანსური ვალდებულებები	18,701,890	12,485,629

➤ საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ფინანსური დანაკარგების რიცხვს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ან ფინანსურ რისკთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

საფინანსო საქმიანობის პროცესში წარმომადგენელი საკრედიტო რისკის მართვა ძირითადად ხდება ანგარიშების გახსნით მხოლოდ საქართველოს უმაღლესი რეიტინგის მქონე ბანკებში, რომელთაც კომპანიასთან უწყვეტი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ.

➤ საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილებების გამო.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ უცხოურ ვალუტაში გამოსატული ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად.

მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მერყეობაში ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

5. კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკები (გაგრძელება)

➤ სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც იცვლება ლარის კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში. კომპანია ძირითადად მონაწილეობს სახელმწიფო ტენდერებში და ახორციელებს გრძელვადიან პროექტებს. სახელმწიფო ტენდერებში კონტრაქტის ფასი განსაზღვრულია ეროვნულ ვალუტაში და ძირითადი მასალების ღირებულება, რომელიც კომპანიას ესაჭიროება პროექტის განსახორციელებლად, დამოკიდებულია ლარის კურსზე. შესაბამისად, კომპანია დგება სავალუტო რისკის წინაშე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობიარობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მიმართ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

31 დეკემბერი, 2024	ევრო	აშშ დოლარი	სულ
<i>ფინანსური აქტივები</i>			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	181,004	-	181,004
ფული და ფულის ეკვივალენტები	314	28,376	28,690
სულ ფინანსური აქტივები	181,318	28,376	209,694
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>			
მიღებული სესხები	1,896,703	2,568,128	4,464,831
საიჯარო ვალდებულება	-	12,727	12,727
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	117,224	76,114	193,338
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,013,927	2,656,969	4,670,896
ღია სავალუტო პოზიცია	(1,832,609)	(2,628,593)	(4,461,202)

31 დეკემბერი, 2023	ევრო	აშშ დოლარი	სულ
<i>ფინანსური აქტივები</i>			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	106,311	-	106,311
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,809,639	16,237	1,825,876
სულ ფინანსური აქტივები	1,915,951	16,237	1,932,188
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>			
მიღებული სესხები	2,319,076	4,506,790	6,825,866
საიჯარო ვალდებულება	-	77,712	77,712
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	26,665	26,665
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,319,076	4,611,167	6,930,243
ღია სავალუტო პოზიცია	(403,125)	(4,594,930)	(4,998,055)

დოლარის ეფექტი 2024		ევროს ეფექტი 2024	
ზრდა 20%	შემცირება 20%	ზრდა 20%	შემცირება 20%
(2,628,593)	2,628,593	(366,522)	366,522
დოლარის ეფექტი 2023		ევროს ეფექტი 2023	
ზრდა 20%	შემცირება 20%	ზრდა 20%	შემცირება 20%
(918,986)	918,986	(80,625)	80,625

5. კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკები (გაგრძელება)

ვალუტური მგრძნობელობა

კომპანია ოპერირებს როგორც კორპორატიული სექტორი, ასევე ფიზიკური პირები მიმართულებებში. ძირითადი შემოსავალი მიღებულია ეროვნულ ვალუტაში (ლ), თუმცა ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი — აღჭურვილობა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურა — ფასდება USD და EUR ვალუტებში.

კურსების მერყეობა პირდაპირ აისახება თვითღირებულებაზე და ინვესტიციებზე: ფიქსირებული ბიუჯეტის პირობებში ლარში, მათი გაძვირება ამცირებს მარჟას და საჭიროებს კორექტირებას. 2024 წლის ბოლოს ღია სავალუტო პოზიცია ნეგატიური იყო, რაც ასახავს ვალუტაში ვალდებულებების ჭარბობას აქტივებზე.

რისკის მართვის ზომები: კურსების მონიტორინგი, ვალდებულებებისა და შემოსავლების ბალანსირება, პირობების გადახედვა მომწოდებლებთან, მსხვილი შესყიდვების ეტაპობრივი განხორციელება, რათა შემცირდეს პიკური მერყეობის გავლენა.

➤ ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება.

ლიკვიდურობის რისკი იმართება მკაცრი მენეჯმენტის გამოყენებით რაც გამოიხატება ფულადი სახსრების მოძრაობის ყოველდღიურ რეჟიმში მონიტორინგით, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოსალოდნელი ფინანსური ვალდებულებების დროული დაფარვა. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია კომპანიის სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

31 დეკემბერი, 2024	ერთ წელზე ნაკლები	ერთ წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,222,422	-	1,222,422
გაუფასურების გამოკლებით			
ფული და ფულის ეკვივალენტები	654,459	-	654,459
სულ ფინანსური აქტივები	1,876,881	-	1,876,881
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	755,572		755,572
საიჯარო ვალდებულება	428,983	1,184,093	1,613,076
სესხები	3,459,573	12,873,669	16,333,242
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,644,128	14,057,762	18,701,890
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	(2,767,247)	(14,057,762)	(16,825,009)

31 დეკემბერი, 2023	ერთ წელზე ნაკლები	ერთ წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,222,422	-	1,222,422
გაუფასურების გამოკლებით			
ფული და ფულის ეკვივალენტები	654,459	-	654,459
სულ ფინანსური აქტივები	1,876,881	-	1,876,881
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	755,572		755,572
საიჯარო ვალდებულება	428,983	1,184,093	1,613,076
სესხები	6,650,529	3,460,959	10,111,488
სულ ფინანსური ვალდებულებები	7,835,084	4,645,052	12,480,136
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	(5,958,203)	(4,645,052)	(10,603,255)

5. კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკები (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა მაშინ, როდესაც კომპანიას შეიძლება გაუჭირდეს ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების დროული შესრულება. აღნიშნული რისკის ეფექტიანი მართვისთვის „სქაიტელი“ იყენებს მკაცრ მენეჯმენტს და ფულადი სახსრების ყოველდღიურ მონიტორინგს, რაც უზრუნველყოფს საჭირო რესურსების ხელმისაწვდომობას ნებისმიერ მომენტში. 2024 წლის ბოლოს კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებები მნიშვნელოვნად აღემატებოდა მოკლევადიან აქტივებს, თუმცა ეს ასახავს მიმდინარე საკრედიტო პოლიტიკას და ქსელის გაფართოების სტრატეგიას, რომელიც მოითხოვს კაპიტალის აქტიურ გამოყენებას.

რისკის შემცირების ზომები:

6. ფულადი ნაკადების ოპტიმიზაცია და ბალანსის შენარჩუნება.
7. ვალდებულებების გადანაწილება დროში, განსაკუთრებით მსხვილი სესხებისა და იჯარის შემთხვევებში.
8. საკრედიტო ხაზების ხელმისაწვდომობის შენარჩუნება ბანკებთან.
9. ინვესტიციების ეტაპობრივი განხორციელება, რომ არ შეიქმნას ერთდროული მაღალი გადახდების საჭიროება.

მნიშვნელოვანი რისკია ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლა, რაც სამუშაო პროცესის შეფერხებას იწვევს, აღნიშნული რისკის შესამცირებლად მანქანა/დანადგარებს უტარდება პრევენციული და რეაქტიული ტექნიკური დათვალიერება. რისკების მართვის მთავარ მიზანს წარმოადგენს მათი მაქსიმალურად სწორი და დროული შეფასება, მომავალში რისკების შედეგების შემცირების მიზნით, რასაც კომპანია წარსულში მიღებული გამოცდილების და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების შეჯამება-შეფასებით ახორციელებს.

ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლის რისკი და სტრატეგიული რეაგირების ღონისძიებები

კომპანიისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რისკს წარმოადგენს ტექნიკისა და დანადგარების მწყობრიდან გამოსვლა, რაც შეიძლება გამოიწვიოს სამუშაოების შესრულების შეფერხება და მომსახურების გრაფიკის დარღვევა.

აღნიშნული რისკის შესამცირებლად კომპანია ახორციელებს კომპლექსურ ღონისძიებებს: რეგულარულ პრევენციულ და ოპერატიულ (რეაქტიულ) ტექნიკურ შემოწმებას, სარეზერვო სიმძლავრეების შექმნას და აღჭურვილობის მდგომარეობის რეალურ დროში მონიტორინგის სისტემების დანერგვას.

ამ რისკის მართვის მთავარი მიზანია მომსახურების უწყვეტობის უზრუნველყოფა და გაჩერების დროის მინიმუმამდე დაყვანა.

კომპანიის სტრატეგია ამ მიმართულებით მოიცავს:

- აღჭურვილობის გეგმიურ განახლებასა და მოდერნიზაციას;
- სარეზერვო ტექნიკური გადაწყვეტილებებისა და ენერგოდამოუკიდებელი წყაროების (მათ შორის მზის პანელების) დანერგვას;
- სათადარიგო ნაწილებისა და ძირითადი კომპონენტების მომწოდებლების დივერსიფიკაციას;
- ტექნიკური გუნდის შიდა კომპეტენციების განვითარებას სწრაფი გაუმართაობის აღმოსაფხვრელად.

5. კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკები (გაგრძელება)

რისკების მართვა ეფუძნება ზუსტი და დროული შეფასების პრინციპებს, წარსულში მიღებული გამოცდილებისა და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების ანალიზზე დაყრდნობით, რაც კომპანიას საშუალებას აძლევს წინასწარ დაგეგმოს მოქმედებები და შეინარჩუნოს სერვისის მდგრადობა არასტანდარტულ სიტუაციებშიც.

6. დასკვნა და მომავალი ხედვა

2024 წელი „სქაიტელი“-სთვის იყო აქტიური ცვლილებების, განვითარების, სტრატეგიული ინვესტიციების და ბაზარზე პოზიციების გამყარების წელი. კომპანიის მიერ განხორციელებული პროექტები — ქსელის გაფართოება, სერვისების დივერსიფიკაცია, კორპორატიული და სახელმწიფო სექტორების მიმართულებებში ახალი შესაძლებლობების შექმნა — ქმნის მყარ საფუძველს 2025 წლისა და შემდგომი პერიოდისთვის.

მენეჯმენტი აგრძელებს ოპერაციული ეფექტიანობის, ფინანსური მდგრადობის და ეკოლოგიური პასუხისმგებლობის გაძლიერებას, რათა უზრუნველყოს კომპანიის გრძელვადიანი წარმატება და მომხმარებელთა მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილება.

„სქაიტელი“ რჩება ერთგული თავისი მისიის უზრუნველყოს მაღალტექნოლოგიური, ხელმისაწვდომი და საიმედო კავშირი საქართველოს თითოეულ რეგიონში, როგორც კერძო, ისე კორპორატიული და სახელმწიფო სექტორისთვის. ყველგან სადაც საქართველოა.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 12 აგვისტოს:

გენერალური დირექტორი

ფინანსური დირექტორი

5. კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკები (გაგრძელება)

რისკების მართვა ეფუძნება ზუსტი და დროული შეფასების პრინციპებს, წარსულში მიღებული გამოცდილებისა და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების ანალიზზე დაყრდნობით, რაც კომპანიას საშუალებას აძლევს წინასწარ დაგეგმოს მოქმედებები და შეინარჩუნოს სერვისის მდგრადობა არასტანდარტულ სიტუაციებშიც.

6. დასკვნა და მომავალი ხედვა

2024 წელი „სქაიტელი“-სთვის იყო აქტიური ცვლილებების, განვითარების, სტრატეგიული ინვესტიციების და ბაზარზე პოზიციების გამყარების წელი. კომპანიის მიერ განხორციელებული პროექტები — ქსელის გაფართოება, სერვისების დივერსიფიკაცია, კორპორატიული და სახელმწიფო სექტორების მიმართულებებში ახალი შესაძლებლობების შექმნა — ქმნის მყარ საფუძველს 2025 წლისა და შემდგომი პერიოდისთვის.

მენეჯმენტი აგრძელებს ოპერაციული ეფექტიანობის, ფინანსური მდგრადობის და ეკოლოგიური პასუხისმგებლობის გაძლიერებას, რათა უზრუნველყოს კომპანიის გრძელვადიანი წარმატება და მომხმარებელთა მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილება.

„სქაიტელი“ რჩება ერთგული თავისი მისიის უზრუნველყოს მაღალტექნოლოგიური, ხელმისაწვდომი და საიმედო კავშირი საქართველოს თითოეულ რეგიონში, როგორც კერძო, ისე კორპორატიული და სახელმწიფო სექტორისთვის. ყველგან სადაც საქართველოა.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელების სახელით 2025 წლის 12 აგვისტოს:

გენერალური დირექტორი



ფინანსური დირექტორი

